

NHSMUN 2018 – National High School Model United Nations

გაერთიანებული ერების საერთაშორისო კონფერენცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

1–7 მარტი 2018 წელი ნიუ-იორკი, აშშ

Powerful Management, Leadership & Technology Center გაეროს მოდელირების ასოციაციის IMUNA-ს ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში იწვევს საქართველოს წარმატებულ ახალგაზრდა ლიდერებს NHSMUN 2018 გაეროს მოდელირების პროექტში მონაწილეობის მისაღებად. პროექტი განკუთვნილია 14–16 წლამდე ახალგაზრდებისათვის, რომელთაც აინტერესებთ გაერთიანებული ერების მუშაობის სპეციფიკა და სურთ მონაწილეობა მიიღონ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ კონფერენციაში.

გაერთიანებული ერების მოდელირების 44–ე საერთაშორისო კონფერენციაზე 50 ქვეყნის 5000 მონაწილე უშუალოდ ჩაერთვება გაერთიანებული ერების მუშაობის სიმულაციებში. საქართველოდან წარმოდგენილ შერჩეულ დელეგატებს საშუალება ექნებათ გამოავლინონ ლიდერული უნარ-ჩვევები, წარმოაჩინონ საკუთარი თავი და უკეთ გაიცნონ გაერთიანებული ერების მუშაობის სპეციფიკა. მონაწილეები განავითარებენ მოლაპარაკების, ეფექტური პრეზენტაციის წარმართვისა და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს. ახალგაზრდა დელეგატები აქტიურად იქნებიან ჩართული გაეროს მოდელირების პლენარულ სხდომებსა და დისკუსიებში. მონაწილეებს ჩაუტარდებათ მოსამზადებელი ლექციები და დაურიგდებათ მასალები. ეს არის კონფერენცია, რომელიც ახალგაზრდა მონაწილეებს აძლევს საშუალებას შეიძინონ მეგობრები და სიტუაციურ თამაშებში მონაწილეობით მიიღონ ცოდნა და გამოცდილება.

პროგრამა ასევე მოიცავს სემინარებს თემაზე: ლიდერული უნარ-ჩვევები, ეფექტური პრეზენტაციის წარმართვის უნარები, დროის მენეჯმენტი და კომუნიკაციის ხელოვნება. საქართველოდან დელეგატებისათვის დაგეგმილია გასართობი, შემეცნებითი ტურები ნიუ – იორკის მასშტაბით. მათ ექნებათ საშუალება დაათვალიერონ სხვადასხვა ღირშესანიშნაობები.

მონაწილე დელეგატებს დაურიგდებათ IMUNA-ს საერთაშორისო სერთიფიკატი.

გაეროს მოდელირების კონფერენციაზე მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს წარმატებულ, წარჩინებულ მოსწავლეებს, რომლებიც განსაკუთრებული ლიდერული უნარ-ჩვევებით გამოირჩევიან.

კონფერენციის ადგილმდებარეობა: გაერთიანებული ერების ცენტრალური ოფისი ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატები.

პროექტის ხანგრძლივობა: 7 დღე

კონფერენციაზე სამუშაო ენა: ინგლისური

პროგრამაში მონაწილეების ასაკი: 14–16 წლამდე.

პროგრამაში მონაწილეობის საფასური : \$ 500.00

შენიშვნა: მონაწილეობის საფასურის გადასხის შემდეგ დელეგატი ვალდებულია გადმოაგზავნოს ყველა ქვევით ჩამოთვლილი დოკუმენტი. მონაწილე ასევე ვალდებულია აცნობოს ორგანიზაციას ვიზი მიღების თაობაზე და გადმოაგზავნოს ვიზის ასლი. თუ მონაწილე ვერ მიიღებს აშშ–ს ვიზას ასეთ შემთხვევაში კი მონაწილეს უკან დაუბრუნდება მხოლოდ 250.00\$.)

საფასურში არ შედის:

** ავიაბილეთები. დელეგატების ორმხრივი მგზავრობა. დელეგატი ვალდებულია წარმოადგინოს ორმხრივი ბილეთის ასლი.

** სავიზო პროცედურები. (თითოეული მონაწილე ვალდებულია თვითონ უზრუნველყოს სავიზო პროცედურები.)

** სასტუმრო Hilton მანჰეტენზე, ნიუ–იორკი, აშშ 6 ღამე. თუ თქვენ გსურთ სასტუმროს დაჯავშნა გთხოვთ მოგვწეროთ. ფასი 1 ღამე 329.00 \$

განაცხადის მიღების ბოლო ვადა არის 2018 წლის 25 იანვარი.

მონაწილეობის მსურველებმა გადმოგვიგზავნეთ:

- შევსებული აპლიკაციის ფორმა.
(იხილეთ ვებ გვერდზე <http://www.pmltusa.com/programs-for-young-leaders>)
- სამოტივაციო წერილი, თუ რატომ გსურთ ამ პროექტში მონაწილეობის მიღება.
- პასპორტის ასლი.
- რეკომენდაცია სკოლიდან ან უნივერსიტეტიდან.

დეტალური ინფორმაცია პროექტისა და შერჩევის პროცედურების შესახებ გთხოვთ იხილოთ ვებ–გვერდზე: www.pmltusa.com

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით PMLT – Powerful Management, Leadership and Technology Center www.pmltusa.com E_mail info@pmltusa.com

PMLT